პროგრამის დანართი 1

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

<u>დამტკიცებულია:</u>

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის

დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით

საგანმანათლებლო პროგრამის

დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. კოლეჯის "შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი" (შემდგომში – "კოლეჯი") საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – "პროგრამა") დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია (შემდგომში – მეთოდოლოგია) არეგულირებს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის პროცედურებს, ასევე – პროგრამის გაუქმების მექნიზმს და მის შემდგომ პროცესებს.

1.2. პროგრამა არის უმაღლესი პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობა, რომელშიც ასახულია მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, პროექტი, სადიპლომო ნაშრომი და ა.შ.) და პრაქტიკული კომპონენტის შესაბამისი კრედიტები, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

1.3. წინამდებარე მეთოლოგიის მიზანია კოლეჯში ისეთი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც შეესაბამება კოლეჯის მისიას და საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირების შემდეგ პრინციპებს:

1.3.1. პროფესიული განათლების, შრომის უსაფრთხოების დარგის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებების საჭიროებების, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას;

1.3.2. შრომის უსაფრთხოების დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებას;

1.3.3. სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, მათი საჭიროებების გათვალისწინებას და ინკლუზიურობას;

1.3.4. კურიკულუმის და სწავლა-სწავლების განათლების ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას.

1.2. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება თანამშრომლობითი პროცესია, რომლის მონაწილეა საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობითი და სასწავლო პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მიზნით კოლეჯში იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის დროებითი სამუშაო ჯგუფი.

1.4. წინამდებარე დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, განათლების ეროვნულ სტანდარტებთან და კოლეჯის ნორმატიულ აქტებთან.

თავი I. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

2.1. პროგრამის დაგეგმვა ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:
2.1.1. პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფი.
2.1.2. პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის სასწავლო (მათ შორის – მოწვეული) პერსონალი, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.
2.1.3. პროგრამის დაგეგმვის პროცესში სამუშაო ჯგუფი ახორციელებს
2.1.3.1. პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების განსაზღვრას;
2.1.3.2. შრომის ბაზრის მოთხოვნების, პროგრამის მოთხოვნადობის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების კვლევას.
2.1.4. პროგრამის სამუშაო ჯგუფი კვლევის ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის საბჭოს;
2.1.5. კოლეჯის საბჭო განიხილავს კვლევის ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ;
2.1.6. კოლეჯის იმავე საბჭოზე კოლეჯის პერსონალიდან ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა, რომელიც ხელმძღვანელობს პროგრამის სამუშაო ჯგუფს.

მუხლი 3. დაინტერესებული მხარეები

3.1. პროგრამის შემუშავებაში ჩართული და დაინეტერესებული მხარეებია:
3.1.1. კოლეჯის სასწავლო (მათ შორის - მოწვეული) პერსონალი;
3.1.2. ადმინისტრაციული პერსონალი კომპეტენციის ფარგლებში:
3.1.3. პოტენციური დამსაქმებლები და პროფესიული გაერთიანებები;
3.1.4. სტუდენტები.

მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელი

4.1. პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პროგრამის სამუშაო ჯგუფს, რომელსაც აქვს პროგრამის დარგობრივი ხედვა, მაღალი დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენცია.
4.2. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას და განვითარებას.
4.3. პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

მუხლი 5. პროგრამის ძირითადი დოკუმენტი

5.1. პროგრამის ძირითად დოკუმენტში ასახულია პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის კურსდამთავრებულთა შესაძლებლობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლების შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების წესი.

მუხლი 6. პროგრამის შემუშავების პროცედურა

6.1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს კოლეჯის საზოგადოების წევრის (წევრთა) მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საინიციატივო ჯგუფის მიერ.
6.2. ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, ერთობლივი პროექტის ფარგლებში პროგრამის შემუშავების შესაძლებლობა.
6.3. პროგრამის ინიციატივის წარდგენა ხდება კოლეჯის საბჭოზე, რომელიც ამტკიცებს პროგრამის სამუშაო ჯგუფს (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი);
6.4. პროგრამის შემუშავებას ახორციელებს პროგრამის სამუშაო ჯგუფი შემდეგ ეტაპებად:
6.4.1. პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის ჩამოყალიბება;
6.4.2. პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა და უკუკავშირის საფუძველზე პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის მოდიფიცირება;
6.4.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განსაზღვრა, მათ მიერ შემუშავებული მოდულების რევიზია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში ავტორთან თანამშრომლობით მოდულის კორექტირება.
6.5. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პროგრამას განსახილველად წარუდგენს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
6.6. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ვადის გასვლამდე, ხოლო ახალი პროგრამის შემთხვევაში განხორციელების უფლების მოსაპოვებლად წარდგენის თარიღამდე სულ მცირე სამი თვით ადრე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად გადაეცემა:
6.6.1. პროგრამა;
6.6.2. მოდულები;
6.6.3. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
6.6.4. კურიკულუმის რუკა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შეფასების რუკა;
6.6.5. ცნობა ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში ხელმისაწვდომობის შესახებ;
6.6.6. პროგრამის ბიუჯეტი;
6.6.7. ასეთის არსებობის შემთხვევაში პარტნიორი დაწესებულებების სია, პარტნიორი დაწესებულების/დაწესებულებების თანხმობის წერილი და პარტნიორ დაწესებულება/დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულება.
6.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს პროგრამის შესაბამისობას კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და მიზანშეწონილობის შემთხვევაში პროგრამის სამუშაო ჯგუფს წარუდგენს არგუმენტირებულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს.
6.8. შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ პროგრამა რევიზიისთვის უბრუნდება ხარისხის უზრუნველყოდის სამსახურს;
6.9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში განსახილველად წარედგინება კოლეჯის საბჭოს.
6.10. კოლეჯის საბჭო განიხილავს პროგრამას, თანხმობის შემთხვევაში ამტკიცებს მას.

თავი II. პროგრამების შეფასება და განვითარება

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

7.1. პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

7.2. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება იმავე სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე.

7.3. პროგრამას შესრულების ინდიკატორების საფუძველზე აფასებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

7.3.1. სტუდენტთა მოსწრება და სემესტრული გამოკითხვის შედეგები;

7.3.2. კოლეჯის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედგები;

7.3.3. დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;

7.3.4. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;

7.3.5. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის გამოკითხვის შედეგები;

7.3.6. პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია.

7.4. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიზანშეწონილობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს წერილობით წარუდგენს პროგრამის სრულყოფის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს.

7.5. შეფასების ანგარიში დოკუმენტირდება და არქივდება კოლეჯში დადგენილი წესით.

მუხლი 8. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურა

8.1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინიციატივით ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით.

8.2. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საფუძველი შესაძლებელია იყოს:

8.2.1. დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები;

8.2.2. პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები;

82.3. საკანონმდებლო ცვლილებები.

8.4. პროგრამის ცვლილებების პროექტი შეფასებისთვის წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

8.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროექტი განსახილველად წარედგინება კოლეჯის საბჭოს;

8.6. პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროექტს განიხილავს და ამტკიცებს კოლეჯის საბჭო.

8.7. პროგრამის სწავლის შედეგების ან/და პროგრამის სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში (ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტის ან მოდულების დამატება/ამოღება, ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტისადმი მინიჭებული კრედიტის ცვლილება, დამატებითი სპეციალობის კომპონენტის დამატება/ამოღება) კოლეჯი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

8.8. დაუშვებელია:

8.8.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ცვლილება;

8.8.2. მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება;
8.8.3. საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება;
8.8.4. პროგრამის გაყოფა.
8.9. პუნქტით 8.8. განსაზღვრული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში პროგრამა განიხილება ახალ პროგრამად, რომელმაც თავიდან უნდა მოიპოვოს განხორციელების უფლება.
8.8. საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას.
8.9. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც შემუშავდება სტუდენტის მონაწილეობით.

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

9.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება იმ შემთხვევაში, როცა:

9.1.1. შესაბამის პროგრამაზე არ ირიცხება სტუდენტი;

9.1.2. პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

9.1.3. ფინანსური ან/და სხვა საჭირო რესურსის დეფიციტი;

9.1.4. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.2. პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით იღებს კოლეჯის საბჭო .

9.3. პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს საბჭოს.

9.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია:

9.3.1. მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი პროგრამის სტუდენტებს.

9.3.2. შესთავაზოს სტუდენტებს ისარგებლონ შიდა მობილობით;

9.3.3. უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებადი რელევანტური პროგრამების შესახებ;

9.3.4. გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

მუხლი 10. შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმი

10.1. შემხვედრ საჭიროებებზე, მათ შორის – ფორსმაჟორზე, საპასუხოდ კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ ორგანიზებას.

10.2. შემხვედრ საჭიროებებზე საპასუხო მექანიზმებია:

10.2.1. სასწავლო პროცესის გადაგეგმვა დისტანციურ სწავლებაზე;

10.2.2. სწავლების სხვადასხვა ცვლებში გადანაწილება;

10.2.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება.